სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

20 ივნისი 2024

N 21/6507

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს

ასლი: სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას

თქვენი 2024 წლის 15 მარტის №04/351 წერილის (სააგენტოში რეგისტრაციით №2869; 18.03.2024) პასუხად, რომელიც ეხება რეკომენდაციების მიღების მიზნით, ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის სააგენტოში წარმოდგენას, გაცნობებთ შემდეგს:

- სგშ-ის ანგარიშის გეოლოგიური რუკის მიხედვით, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში უფრო მეტი სტრატიგრაფიული ერთეულია (იურული - ტიტონური სართული, ცარცული - ვალანჟინური სართული) წარმოდგენილი (შესაბამისი ლითოლოგიური აღწერით), ვიდრე პირობით ნიშნებშია მითითებული. გარდა ამისა, გეოლოგიური რუკის მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილია ბერიასული სართულის ნალექები და არა ბარემული, როგორც პირობით ნიშნებშია მითითებული. საჭიროა გეოლოგიური აგებულების ტექსტური ნაწილის თანხვედრა რუკაზე არსებულ გეოლოგიურ ინფორმაციასთან;
- „მეწყრების კერების რუკაზე“ ტერიტორია დაყოფილია მაღალი, საშუალო და დაბალი საფრთხის ზონებად, თუმცა აღნიშნული ზონები არ მოიცავს მთლიან ტერიტორიას (ს. ბედონის დასავლეთით არსებული ტერიტორია), თუ ამ ადგილებში მეწყრული საფრთხე არ არსებობს, აღნიშნული ინფორმაცია რუკაზე დატანილი უნდა იქნას შესაბამისი პირობითი ნიშნით;
- სოფელ შარმიანის და ციხიანის მიმდებარედ ფიქსირდება სამი მეწყრული სხეული (მეწყრების ცენტრის კოორდინატები: 1. 460188-4699970; 2. 461003-4700168; 3. 460864- 4700464), თუმცა მათზე ინფორმაციას წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს. საჭირო მათი გათვალისწინება და ბუნებრივი საფრთხეების ზონირების რუკაზე ამ ტერიტორიების საშუალოდან მაღალი საფრთხის კატეგორიაში გადასვლა;

- საჭიროა საკვლევ ტერიტორიაზე სრულყოფილად შეფასდეს ქვათაცვენის პროცესები, მაგალითად ციხიანი-გომურნის დამაკავშირებელ გზაზე ფიქსირდება რამდენიმე ქვათაცვენის უბანი;
- გრაფიკული ნაწილის, ბუნებრივი საფრთხეების რუკებზე, საფრთხის სხვადასხვა კატეგორიის ღვარცოფული ხევების და მდინარეების/წყალსადინარების კონტურები ერთმანეთს არ ემთხვევა, ასევე ღვარცოფული ხევების სივრცითი მონაცემები, დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე კვეთს არსებული შენობების კონტურებს (მათ შორის ადმინისტრაციულ შენობასა და სკოლას), რაც საჭიროებს კორექტირებას;
- სგშ-ის ანგარიშსა და განაშენიანების გეგმის რეგლამენტში, მაღალი ღვარცოფული რისკის დონის შესაბამის **პრევენციულ ღონისძიებად/რეკომენდაციად მითითებულია**, რომ მაღალი ღვარცოფული საფრთხის ტერიტორიები საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით პრაქტიკულად უვარგისია/არამიზანშეწონილია. საჭიროა აღნიშნულ ჩანაწერს დაემატოს ინფორმაცია, უკვე განაშენიანებული ტერიტორიების დაცვის მიზნით დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებების შესახებ, ვინაიდან, სგშ-ის ანგარიშისა და განაშენიანების გეგმის თანახმად, ღვარცოფული საფრთხეების პრევენციის მიზნით, საჭიროა სოფელ ქვეშეთში, პერიოდულად განხორციელდეს კალაპოტის გაწმედა-დაღრმავება; დასახლებული უბნის ფარგლებში, ხევის ბორტების გასწვრივ არსებული ბეტონის ფილების დაგრძელება; ხეობის ზემო წელში არსებულ მეწყრულ-გრავიტაციულ უბნებზე გეოლოგიური მონიტორინგის დაწესება, ასევე სოფელ არახვეთში, მდინარე არახვეთის ხევის და ქიმბარიანთ ხევის კალაპოტის რეგულარულად გაწმენდა და ხევის ორივე მხარეს გაკეთდეს დამცავი ნაპირსამაგრი კონსტრუქციები. **აღნიშნული ტერიტორიები ხვდება მაღალი ღვარცოფული რისკის ზონაში;**
  ამასთან, ურთიერთსაწინააღმდეგოა ის ფაქტები, რომ მაღალი ღვარცოფული საფრთხის ტერიტორიები საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით პრაქტიკულად უვარგისია/არამიზანშეწონილია და იმავე ტერიტორიისთვის, სამშენებლო ფუნქციურ ქვეზონად დადგენილია სასოფლო-სამეურნეო ზონა (შზ-1), რომლისთვისაც ასევე დადგენილია განაშენიანების პარამეტრები;
  აღნიშნული შენიშვნები ასევე გასათვალისწინებელია მეწრული პროცესების მიმართ;
- საჭიროა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, განაშენიანების გეგმა ითვალისწინებს თუ არა ბუნებრივი საფრთხეების შეფასების შედეგად რეკომენდაციებში მითითებული ღონისძიებების განხორციელებას. ასევე საჭიროა დოკუმენტში აისახოს ინფორმაცია აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოს/ების შესახებ;
- განაშენიანების გეგმის გრაფიკულ ნაწილში წარმოდგენილია ბუნებრივი საფრთხეების ზონირების რუკები, თუმცა განაშენიანების გეგმაში (ტექსტურ ნაწილში) არაფერია ნათქვამი ბუნებრივი საფრთხეების ზონირების არსებობისა და მისი ზონირების პრინციპების შესახებ;
- განაშენიანების გეგმასა და სგშ-ის ანგარიშში საჭიროა ბუნებრივი საფრთხეების თავში დაემატოს სეისმური საფრთხეების შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ხადას განაშენიანების გეგმის პროექტი ითვალისწინებს საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობების მშენებლობას, რომელიც ახორციელებს საკანალიზაციო წყლის ბიოლოგიურ გაწმენდას უწყვეტ რეჟიმში. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების მიზნით საჭიროა გათვალისწინებული იყოს წარმოდგენილი ნაგებობების მიერ მავნე ზემოქმედების შესაძლო რისკები, რაც გამოწვეული იქნება ატმოსფერულ ჰაერზე ისეთი მავნე ნივთიერებებით ზემოქმედებით როგორიცაა, ნახშირბადის მონოქსიდი, გოგირდწყალბადი, ეთილმერკაპტანი და ა.შ.
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი კორესპონდენციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსზე რიცხული წკერეს ანდეზიტ-ბაზალტის საბადოს (საღორღე

ნედლეული), ასევე, წკერეს (მოსაპირკეთებელი ქვა) და ბედონის ანდეზიტ-ბაზალტის (საღორღე ნედლეული) გამოვლინებებს, კვეთს ქვეშეთის ქვიშა-ხრეშის საბადოს.

წარმოდგენილი ტერიტორია, ასევე, კვეთს /მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვების მიზნით, გაცემული ლიცენზიების კონტურებს:

10003045 - შპს ნიუ სფეისი (ს/კ 404884773), 29.08.22 წ., ვადა - 4 წ.;

10001711 - შპს ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი-ს მუდმივმოქმედი ფილიალი (ს/კ 404385385), 28.09.2020 წ., ვადა - 5 წ. საპროექტო არეალი მოიცავს მიწისქვეშა მტკნარი წყლის ლიცენზიას **ციხიანის მინერალური წყლის წყაროს, და მათ სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონებს;**

- სკოპინგის დასკვნის თანახმად, სგშ-ის ანგარიში უნდა ასახულიყო ბუნებრივი საფრთხეების გრძელვადიანი მართვის გეგმა, ასევე, სგშ-ის ანგარიშზე თანდართული უნდა ყოფილიყო სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების/ხედვების განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორიების Shp ფაილები, რაც არ იქნა წარმოდგენილი;
- სგშ-ის ანგარიშში მითითებულ მონიტორინგის გეგმასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მონიტორინგს უნდა დაექვემდებაროს დოკუმენტაციაში განხილული გარემოსთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და შესაბამისად, მნიშვნელოვანი ზემოქმედებები. რაც არ არის ასახული წარმოდგენილ მონიტორინგის გეგმაში, ასევე საჭიროა დაზუსტდეს მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოები. ამასთან, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას გარემოსდაცვით მონიტორინგს დაქვემდებარებული საკითხების შესახებ (წყალი, ნიადაგი, ჰაერი) აღნიშნულია, რომ მონიტორინგზე (მათ შორის ინსტრუმენტული) პასუხისმგებელია გარემოს ეროვნული სააგენტო, თუმცა ამ ეტაპზე გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტს ხადას ხეობის საპროექტო არეალში მონიტორინგი აღნიშნულ გარემოს კომპონენტებზე არ გააჩნია. ასევე, საჭიროებს დაზუსტებას საშიში გეოდინამიკურ პროცესებზე მითითებული პასუხისმგებელი ორგანიზაცია. შესაბამისად, აღნიშნული მონიტორინგის გეგმა საჭიროებს განახლებას.

დამატებით გაცნობებთ ტექნიკური ხასიათის შენიშვნებს:

- საჭიროა განაშენიანების გეგმასა და სგშ-ის ანგარიშში ასახულ საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური და ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემებს მიეთითოს ავტორი და წელი;
- გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილი შეიცავს გაუმართავ წინადადებებს, რაც საჭიროებს შესწორებას;
- როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით წარმოდგენილი სგშ-ის ანგარიშის 34-ე და არატექნიკური რეზიუმეს 29-34 გვერდები არ მოიცავს ინფორმაციას;
- წარმოდგენილ განაშენიანების გეგმის პროექტში, სგშ-ის ანგარიშში და სივრცითი მონაცემებში (Shp ფაილები) მოცემულია გეგმარებითი არეალის საერთო ფართობის განსხვავებული მონაცემი, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- განაშენიანების გეგმის რეგლამენტში, ბუნებრივი საფრთხეების ზონების ქვეთავში, „ზვავსაშიში ზონა (კლდეზვავ-ქვათაცვენა)“ უნდა შეიცვალოს „კლდეზვავ-ქვათაცვენის ზონად“;
- რეგლამენტში წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის პირობითი აღნიშვნა (სოფ.ტ) უნდა შეესაბამებოდეს, ამავე ზონისთვის რუკაზე დატანილ პირობით აღნიშვნას (ს-ს.ტ).

ამასთან, გიგზავნით სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ კორესპონდენციას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის 2 თვის ვადაში სააგენტოში წარმოდგენა.

დანართი: ელ. ვერსია

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო